№ 15 | 1877—1897 | № 15

კვირა, 2 თებერვალი 1897 წ. | | კვირა, 2 თებერვალი 1897 წ.

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

კნ. ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ვახვახოვისა, თამარა ივანეს ასული ჭავჭავაძისა, მელანია ივანეს ასული ჩოლოყაშვილისა და სოფიო ივანეს ასული მაყაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას ხოლო დანირჩენნი ძმისა თვისისას თავად.

ზაქარია ივანეს ძე ვახვახოვისას

დაკრძალვა იქმნება 3-ს თებერვალს ქ. თელავს.

(1—76—1)

## რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.
ბენეფისი
გ. ვ. გედევანოვისა.

ოთხშაბათს, 5 თებერვალს
პირველად ახალი პიესა
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:

I

ცოლ-ქმრობის უვავილები

კომ.—ფარსი 3 მოქმ. ბიხსლნისა, თარგმ. ნ. გალუსტოვისა.

II

პირველად ახალი პიესა:

შიშს დიდი თვალები აქვს

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გარგარეთელი, კუნდელი, ივანიძისა და სხ. ბ-ნი აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე აბრამოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი.

დილით 11-დგან 1 საათამდე, საღამოთი 6-დგან 7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 29, სახლი პაპოვისა. (5—71—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე· კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი·

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზრდატასეკიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრდატასეკიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ტფილისი, 1 თებერვალი

გუშინ-წინ „ნოვოე ობოზრენიე"-ში დაბეჭდილი იყო ქუთაისიდამ კორესპონდენცია და გუშინ ჩვენს გაზეთშიაც მოვიხსენიეთ იგი მოკლედ. კორესპონდენტი იუწყება, რომ 28 იანვარს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურნი გუბერნიის მარშლის თანადასწრებით შეყრილან კერძოდ ერთმანეთში მოსალაპარაკებლად იმაზე თუ—რა სარჩიელი წარუდგინონ საერთო გუბერნიის მორიგს კრებას, რომელიც დანიშნულია ამ მომავალ მაისში.

ამ კერძო კრებას მოუსმენია სხვა-და-სხვა საგანი, ზოგი მოუწონია, ზოგი დაუწუნია და გადაუწყვეტია, რომ თუ მათი მოწონებული საერთო კრებამაც მოიწონა, საჭირო და სათანადო შუამდგომლობა გასწიონ საცა და ვისთანაც ჯერ არს. დასაბუთება მოწონებულის საგნებისა დაუვალებია თვითვეულ ცალკე კამისიისათვის. ჩვენ არ ჩამოვთვლით აქ რა და რა საგანზე ჰქონიათ საუბარი, რა მოუწონიათ რა საბუთით და რა საბუთითვე რა დაუწუნიათ.

აქ ჩვენ სულ სხვა სიხარული გვალაპარაკებს და ამავე დროს სხვა დარდი და ნაღვლიცა.

ვიდრე ამ უცნაურს ნასკვს გამოვხსნიდეთ და ამ მზიან-ჩრდილში გზას გავიგნებდეთ, ჯერ ეს ვიკითხოთ: რა აზრი უნდა ჰქონოდა კანონ-მდებელს, რომ თავად-აზნაურობას მიანიჭა ძვირფასი უფლება სამ წელიწადში ერთხელ მაინც ერთად მოიყარონ თავი? კრება გუბერნიის თავად-აზნაურობისა რის მომასწავებელი უნდა იყოს კანონ-მდებელის აზრით? ამ აზრის გამორკვევა ძნელი არ არის ჩვენის ფიქრით, თუ კაცი საქმეში ჩახედულია.

ძლიერი და გავლენიანი ნაწილი ერისა ერთს დროს თავად-აზნაურობა იყო და არც დღეს ითქმის, რომ ეს მნიშვნელობა დაჰკარგოდეს თავად-აზნაურობას მთავრობის წინაშე მაინც. ამიტომაც საჭიროდ დანახულ იქმნა კანონ-მდებელის მიერ, რომ ამ ძლიერს და გავლენიანს ნაწილს ერისას გზა და ღონისძიება ჰქონდეს თავისი საკუთარი საჭიროება თვითონ გამოარკვიოს, თავისს ჭირსა და ლხინს თვითონ მოუაროს, თვითონ უპატრონოს და ყოველივე თავისი დარდი, ნაღველი და საჭიროება აცნობოს მთავრობას და მთავრობის წადილ-სურვილი თავად-აზნაურობას.

სხვას რას უნდა შესძლებოდა ეს ორ-ნაირი სამსახური გაეწია, თუ არ იმისთანა ორგანოს, რომელიც წარმოადგენს მთელს თავად აზნაურობას ამა თუ იმ გუბერნიისას ცალკე? ამისთანა ორგანოა კრებული თავად-აზნაურობისა, რომელიც კანონის ძალით სამს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს, თუმცა ნება აქვს დართული სხვა დროსაც შეკრებისა საჭიროებისამებრ. რადგანაც ეს ორგანო, ვითარცა მრავალკაციანი კრებული, ვერ შესძლებს ყოველ დღეს იმოქმედოს თავისის დანიშნულებისამებრ, ამიტომაც საჭიროდ დანახულია კანონ-მდებელის მიერ ყოველ სამის წლის განმავალობაში თვისი წარმომადგენელი იყოლიოს თვისდა შორის ამორჩევითა. ამისთანა წარმომადგენელნი არიან გუბერნიის და მაზრის მარშლები და ზოგიერთი სხვა მოხელენი, რომელნიც კანონებში დასახელებულნი არიან. უველა ესენი სხვა არა არიან რა, გარდა იმისა, რომ თავად-აზნაურობის მხრით კრებულის კანონიერს ნებას და განაჩენს უნდა ასრულებდნენ იმ წესით და რიგით, რაც დაწვრილებით ნაჩვენებია კანონებში და თავად-აზნაურთა სახელობით არა უნდა გაჰბედონ-რა თავად-აზნაურთა კრებულის დაუკითხავად.

ამ სახით, დედა-აზრი საგუბერნიო კრებისა იგია, რომ ყოველსავე კანონის მიერ შესაწყნარებელს დარდსა, ნაღველს და საჭიროებას თავად-აზნაურობისას კანონმდებელმა გზა გაუხსნა გამორკვევისა მთავრობამდე მისაღწევად და სატკივარის წამლის მოსაწოდებლად რამოდენადაც-კი ეს შესაძლებელია მთავრობისაგან. აი რით არის ეს უფლება კრებისა ძვირფასი თავად-აზნაურობისათვის: იგი მისდა საჭიროების კანონიერი გამომთქმელია, ხმა მაღლა მეტყველი და მღაღადებელი. მართლადაც, სხვამ ვინ იცის უკეთესად დანახვა საჭიროებისა, თუ არ თვით გაჭირებულმა და ამ შემთხვევაში თუ არ კრებულმა მთელის თავად აზნაურობისამ?

აი ეს ძვირფასი მხარე თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისა, ჩვენდა სამწუხაროდ, დავიწყებული გვაქვს. თავად-აზნაურთა კრება ჩვენ ეხლა მარტო მარშლების ამომარჩევ ორგანოდ მიგვაჩნია და ის-კი აღარ გვახსოვს, რომ თუ სათქმელი არა გვაქვს-რა, თუ საჭიროება არა გვცემს თავში, თუ არც დარდი, არც ნაღველი რამ არ გვაწუხებს, თუ არა გვტკივარა, არც მარშალია საჭირო, არც სხვა ვინმე მოხელე. რა უნდა გვიკეთონ ან ერთმა, ან მეორემ? რისთვის-და ვიცხელებთ თავს? ნუ თუ მარტო კენჭობანას თამაშობაზე უნდა მოვცდეთ და ჩვენს დარბაისელს თავად-აზნაურთა კრებას სხვა საგანი არ უნდა ჰქონდეს? განა ცოტა რამ გვიჭირს? აბა მიიხედ-მოიხედეთ რა დღეში ვართ? რაკი კანონი ნებას გვაძლევს ყოველ ამაზე ჩვენვე ვინაღვლოთ, სათხოვნელია რამ, ვითხოვოთ, გასაკეთებელია ჩვენვე გავაკეთოთ—ნუ თუ, ვამბობთ, ყოველივე ეს იმათ არა ღირს, რომ წინადვე აღვნუსხოთ, წინადვე მოვისაზროთ, წინადვე სიგძესიგანე გავუზომოთ, ავწონ-დავწონოთ და მომზადებული, საბუთიანი სარჩიელი შევიტანოთ კრებაში და ჩვენთა მოძმეთა კრებულს დავეკითხოთ,—საიდ რას გავხდეთ და რა გზითა!

კრებას რომ დედა-აზრი გავუქარწყლეთ, ის, რისთვისაც იგი ძვირფასია, ჩამოვათალეთ, რისთვისაც განსაკუთრებით დანიშნულია, ის დავივიწყეთ და რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ თვით მოხელეთა ამორჩევაშიაც ბრმად და წინ დაუხედველად ვიქცევით. რაკი საქმე აღარ არის, რასღა უნდა შეურჩიოთ ძალ-ღონე ამომარჩევ კაცისა? ვინც გინდა იყოს, განა სულ ერთი არ არის, რაკი უქმად ყოფნა ასე დაკვებებული გვაქვს? აბა კრებამ თავისდა დანიშნულებისამებრ საქმიანობა გასწიოს, ამომარჩევ კაცს ვალად დასდოს და თავისს დროზე ყველაფერი მოჰკითხოს, რაც დავალებული და მოსაკითხია, და მაშინ ჰნახავთ ბევრი გაბედავს თუ არა კენჭის ჩამოტარებას და იმ სასახელო ტვირთის ზიდვას, რომელსაც საზოგადო საქმე ჰქვიან და რომელიც ჭეშმარიტ მზიდველისათვის მარტო წვალებაა, პასუხის-გებაა, ჯაფაა და არა მოედანი მუნდირში გამოჭიმვისა და პტყელ-პტყელ სასაცილო ბაქიობისა: რაცა ვარ, მე ვარო. რომ კრება თავისს დანიშნულებისამებრ არა საქმობს, რად გვინდა საქმიანი კაცი უსაქმობაზე მოვაცდინოთ. ამიტომაც დიდს არჩევანში არ შევდივართ, როცა მარშლებს და სხვა მოხელეებს თაროზე წამოვასკუპებთ ხოლმე და გვგონია საქმე გავაკეთეთ და ქვეყნის წინაშე ვალი ავიხადეთო.

ჩვენში დედა-აზრი კრებისა დღეს დავიწყებულია, მკვდარია. ამ დედა-აზრის მკვდრეთით აღდგენა აუცილებელ საჭიროებად უცვნია ქუთაისის თავად-აზნაურობას და ამისათვის მზადებას შესდგომია თავისდა სასახელოდ და ჩვენდა სამაგალითოდ. აქედამ აშკარაა, რომ ქუთაისის თავად-აზნაურთა მიუგნიათ კრების უმთავრესს და ერთად-ერთ სანატრელ ძარღვისათვის და ცოდვად ჩაუთვლიათ მარტო კენჭობისათვის თავის-მოყრა მორიგ კრებაზე. კანონი ნებას გვაძლევს ჩვენის თავისათვის ვინაღვლოთ რამ, რაც წარსადგენია, წარვუდგინოთ მთავრობას, რაც ჩვენგან გასაკეთებელია, გავაკეთოთ და რა საკადრისია, რომ ამ საზოგადო მოვალეობას ვღალატობდეთო.

ასეთი ამბავი ქუთათურებისა გონების აღმატებას მოასწავებს. ეგ იმის ნიშანია, რომ იქ გულსა და გონებას მუშაობა დაუწყვია, თვალს ხედვა მოჰმატებია და ყურს სმენა. ღმერთმა ჰქნას ყოველ ამისი უფრო მეტად გაძლიერება!

აი სასიხარულო რა არის იმ ამბავში, რომლის მოთხრობითაც დავიწყეთ ჩვენი წერილი. სანაღვლელი და სადარდელი რაღა არისო, იკითხავთ? ის, ჩვენო ბატონებო, რომ ჩვენც, ტფილისის თავად-აზნაურობას, ბევრი რამ გვიჭირს და ხმის ამომღები არ არის. ვართ ისე მიყურებულნი და გაბრუებულნი, თითქო მოსაკითხი, განსაკითხი არა გვქონდეს-რა, თითქო არაფერი გვტკიოდეს, არაფერი გვენაღვლებოდეს. ჩვენც ველოდებით 28 მაისს თავად-აზნაურთა კრებას და ყურსაც არ ვიბერტყავთ. მივალთ ცხვრებსავით და ცხვრებსავით ყურებ-ჩამოყრი-

ლები გამოვალთ. ჩვენ დღეს იმითი ვაღამებთ და ღამეს იმითი ვათენებთ, რომ ერთი იძახის სამასხარო ქადილითა я имъ задамъ-ო და მეორენი სიცილით ეუბნებიან: ბალი ალალ, იყავნ ნება თქვენიო. ამაში მიდის დრო, ესეიგი, მთქნარება ჩვენი. ღმერთიც მწყალობელია და კაციც.

ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია-რა რომ ვთქვათ: ნეტავი ქუთათურებს! შურიანობაში ნურავინ ჩამოგვართმევთ. ჩვენ იმათი უკან დახევა-კი არ გვინდა: ჩვენი ძმები არიან, ჩვენ იმათამდე მიღწევა გვენატრება: ჩვენც იმათი ძმები ვართ.

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: განჯის სასაქმიერო სამზრუნველო კომიტეტის დირექტორებად: კაპიტანი მინას ვასაკოვი და სიმონ მალიანცი, ახალციხე—ახალქალაქის განყოფილების დირექტორად—უაზი აბდულ-ჰამედ-ეფენდი-ზადე.

აზნაური ზინობი დობროვოლსკი დანიშნულ იქმნა ბაქოის საუფლისწულო მამულების მმართველობის ბუხგალტერად.

# ახალი ამბავი

*** პარასკევს, 31 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობას პარიზს პასტერის ინსტიტუტში ექიმთ რუს და მეჩნიკოვისათვის დეპეშა გაუგზავნია და უთხოვნია შეგვატყობინეთ, ვიქონიოთ თუ არა იმედი შავიჭირის საწინაამდეგო შედედებულის სისხლის მიღებისაო. გამგეობა ამასთანავე სთხოვს ხსენებულ სწავლულთ შემწეობა აღმოუჩინონ ტფილისს, რომელსაც შეიძლება სხვაზედ ადრე დასჭირდეს შედედებული სისხლი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ქალაქის პოლიციის ბოქაულებს უბრძანა დიდის ყურადღებით გასინჯეთ ყველა მოედნები და ბაკები და სადაც უსუფთაობა რამ ნახოთ, აღნიშნეთო. ამასთანავე დაიბარეთ სახლის და უბის პატრონები და დაავალეთ, რომ ყოველგვარი უსუფთაობა საჩქაროდ გაწმინდონო. ეს მინდობილება ბოქაულებმა 10 თებერვლამდის უნდა შეასრულონ და 11-ს კი ბ-ნს პოლიცმეისტერს უნდა წარუდგინონ სია კარ-მიდამოებისა, საცა უსუფთაობა ნახეს.

*** პარასკევს, 31 იანვარს, ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. სანამ მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-მა ივანენკომ აუწყა საბჭოს გარდაცვალება ქ-ნის ლ. პ. ასულის თამამშევისა, რომლის მეცადინეობითაც დაარსდა ტფილისში ქალთა ჭრა-კერვის სასწავლებელი და ამ სკოლას ის ათის წლის განმავლობაში უსასყიდლოდ განაგებდაო. ბ-ნმა ივანენკომ სთხოვა ხმოსნებს: მიცვალებულის ხსენებისათვის პატივი ეცით ფეხზედ წამოდგომით, ამას გარდა ნება დავრთოთ ქალაქის გამგეობას მიცვალებულის კუბოზედ ვერცხლის გვირგვინი დავადგათ და აგრეთვე ვთხოვოთ განსვენებულის მეუღლეს მ. ი. თამამშოვს ნებართვა—ქალთა ჭრა-კერვის სასწავლებელში განსვენებულის სურათის დაკიდვისაო. კრებამ ფეხზედ წამოდგომით სცა პატივი მიცვალებულის სახელს და ბ-ნ ივანენკოს მოხსენება ერთხმად შეიწყნარა.

შემდეგ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა კრებას მოახსენა ბ-ნ ი. ი. სტეპნიცკის გარდაცვალება, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ტფილისში და ტფილისის საბჭოს ხმოსნად ყოფნის დროს ჩვენს ქალაქს დაუღალავისა და ნაყოფიერის შრომით დიდი სარგებლობა მოუტანაო, და სთხოვა საბჭოს გარდაცვალებულის ხსენებისათვის პატივი ეცა ადგომით, რაიც ერთხმად შეწყნარებულ იქმნა.

ბოლოს საბჭო შეუდგა 1897 წ. ხარჯთ აღრიცხვის განხილვას, მაგრამ ბევრი ვერა მოასწრო-რა, მხოლოდ ქალაქის საავადმყოფოს ხარჯთაღრიცხვა განიხილა.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული ბალი, რომელიც დღეს, 2 თებერვალს, უნდა ყოფილიყო. გადადებულია 16 თებერვლისათვის.

*** ხვალ, 3 თებერვალს, დილის 10 საათზე, ტფილისის რომის კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი იქნება გარდახდილი ამავე ეკკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებლის იაკობ იოსების ძე ლაზარაშვილის სულის მოსახსენებლად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის ცნობილს ექიმს, ბ-ნს სამსონ თოფურიას თავის სამკურნალოდგან ოთხშაბათს, 29 იანვარს, ერთი ექიმი ბ-ნი ვარშავსკი პეტერბურგს გაუგზავნია ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტში, სადაც პროფესორი ვინოგრადსკი ლექციებს კითხულობს შავის ჭირისა და მის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ. ბ-ნი ვარშავსკი ოცის დღის შემდეგ დაბრუნდება ქუთაისში. ის ექიმთა კრებას და სხვებსაც, ვინც მოისურვებს, მოხსენებას წარუდგენს შავის ჭირის შესახებ. გარდა ამისა, პატივცემულს ექიმს ბ-ნს თოფურიას წერილით უთხოვნია პროფესორის მოჩნიკოვისათვის, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება, რომ ყოველივე, რაც-კი იცით შავის ჭირის შესახებ, შეგვატყობინეთო.

*** 25 იანვრიდგან 30 იანვრამდე ტფილისში 27 სული გამხდარა ავად სხვა-და-სხვა გადამდებ სენით. ამათში ქუნთრუშით—21, (ლაბარატორიისა, წყნეთისა, მეორე მთისა, კონსულისა, ერმოლოვისა, სერგისა, ალექსანდრეს და 1 მოედნის ქუჩებზედ, სიონისა და ურიების ქუჩებზე და ნაძალადევში), ხუნაგით—ერთი (წყლის პირის ქუჩა) და შავი სახადით—5 (მეორე მთისა, ფეთხაინისა, საპიორთა ქუჩებზედ და ბანკის ვიწრო ქუჩაზედ).

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში ნათქვამი გვქონდა, რომ ვიღაც თათარმა თელეთის გორაზე ტყის გასაშენებლად ჩარგული ხეები დასჭრაო. ეს თათარი—ასლან მირზაოღლია, რისთვისაც, გაზ. „ცნობის ფურცლის“ სიტყვით, მომრიგებელ მოსამართლეს ორის თვით ციხეში დაპატიმრება და 21 მან. ჯარიმის გარდახდა მიუსაჯია.

*** გაზეთი „კასპი“ ამბობს, რომ ინდოეთიდგან ბაქოში მწვანე ჩაის ეზიდებიან და ეს ძლიერ საშიშია ამ ჟამად, როცა დღე-დღეზედ ინდოეთიდგან შავი-ჭირის შემოტანის შიში გვაქვსო.

*** წელს ქართულს ენაზედ გამოვიდა ორი კედლის კალენდარი: ბ-ნ გ. ჩარკვიანისა და კოწია თავართქილაძისა. ორი ჯიბის კალენდარი ს. მდივანოვისა და ვრცელი კალენდარი ვალერიან გუნიას გამოცემა. იმერეთის პატარ-პატარა ქალაქებიდგან დიდი მოთხოვნილება ისმის პატარა ზომის კალენდრის გამოცემის. პატარა ზომის, რიგიანათ შედგენილი კალენდარი მარტო იმერეთში 3,000—4,000 ცალი იყიდება.

*** დღეს, 2 თებერვალს, დილის 12 საათზედ „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში, ბ-ნ რადეცკის თაოსნობით, საყმაწვილო დღესასწაული გაიმართება. დღესასწაულზედ ქალაქის რამდენისამე სასწავლებლის მოსწავლენი არიან მოწვეულნი.

*** 28 იანვარს წმინდა სანთლის სავაჭროში (სიონის ტაძართან ახლოს) ნოქარმა გლახა აბულაძემ ლამპარი ჩააქრო. კარები ჩაჰკეტა და სახლში წავიდა დასაძინებლად. დილით რომ დაბრუნდა, აბულაძემ ვიღაცას ხველა გაიგონა სავაჭროში, ამიტომ პოლიციელს დაუძახა და ისე გაალო კარები. სავაჭროში დაუხვდათ სიღნაღის მცხოვრები სტეფანე აბრამოვი, რომელიც მაშინ შეპარულიყო, როცა აბულაძემ ლამპარი ჩააქრო, მაგრამ გარეთ გამოსვლა ვეღარ მოეხერხებინა. გაჩხრეკის დროს აბრამოვს უპოვნეს 25 მან., ხოლო 200 მან. ფანჯრიდგან ვიღაც ნიკოსათვის მიეწოდებინა. პოლიციის მოხელემ ნიკიფოროვმა ეს ნიკო ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად იპოვნა. აბრამოვი დატუსაღებულია.

*** უკანასკნელ დროს სამიწადმოქმედო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუწყია შავი ზღვის პირა ადგილებში მამულების გაცემა. სახელმწიფო მამულების ნაჭრებად იჯარად გაცემას, ისე რომ იჯარის ფულის გადახდაც ნაწილ-ნაწილად ყოფილიყო, დიდი ხანია მოელოდნენ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო აქამდის არ მოხერხდა. ამ ჟამად ეს მიზეზები აცილებულია და მამულების იჯარიდ აღება მსურველთ შეუძლიან 1—22 დესეტინამდის შემდეგ პირობებით: მამულის იჯარიდ აღების მსურველმა 10% იჯარის პირობის დაწერის დროს უნდა წარუდგინოს ხაზინას, ხოლო დანაშთენი 37 წლის განმავლობაში. ეს პირობანი მაინც და მაინც სამძიმო არ არის, ამბობს გაზ. „ნაროდ“-ი, მაგრამ მამულები ერთობ ძვირად არის დაფასებული, სახელდობ 60 მან. დესიატინა ღირსების გაურჩევლად. საუკეთესო მამულებად ისინი ითვლება, რომელნიც ოდესმე კატკოვს ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა ხაზინის ხელშია, და რომლებიც სოჭას ახლოა. ეს მამულები თითქმის ყველა დამუშავებულია ამ ჟამად და ტუაპსეს მახლობლად ამგვარისავე მამულების გაცემა შეჩერებულია, რადგან სამინისტროს ჯერ ყველა მამულის გეგმა არ მიუღია კავკასიიდგანაო.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა საჭიროდ სცნო ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში აბრეშუმის ქსოვის სწავლის შემოღება, რისთვისაც მსურველთ ვაჟთა და ქალთა შეუძლიანთ იარონ სასწავლებელში, დილის 8—12 და საღამოს 2—6½ საათამდის.

როგორც „კავკაზი“ ამბობს, სასწავლებელს რამდენიმე მაშინა კიდეც შეუძენია და მუშაობა დაუწყიათ, მაგალითად ახვევენ აბრეშუმს, ჰქსოვენ და ჰღებავენ.

*** ამ მოკლეს დროში სოფელ ალში აღმოჩნდა „სურამის ციხის“ დამწერის აწ განსვენებულის დანიელ ჭონქაძის სურათი, რომელიც ფერადის წამლებით არის დახატული და სურათი თავის კვალად საყურადღებოც არის. სურათიდგან სახე გადუღიათ და ფოტოგრაფიით გაუმრავლებიათ.

*** დ. ზესტაფონი: ჩვენს დაბაში კარგა ხანი სცხოვრობდა თავისუფალი ექიმი ბ-ნი ჯინორიძე, რომელიც ამ მოკლე დროში ქუთაისის გუბერნიის ერთის მაზრის ექიმად დანიშნეს. ბ-ნ ჯინორიძის წასვლა ზესტაფონისა და მის ახლო-მახლო სოფლებისათვის დიდი დანაკლისი იყო. მართალია, ზესტაფონში სცხოვრობს შორაპნის მაზრის ექიმი ბ-ნი ფიშერი, კაცი ყოვლად ღირსეული, მაგრამ ქართულის ენის უცოდინარობა ხელს უშლის და იმდენი სარგებლობა ვერ მოაქვს, რამდენიც შეეძლო. ამ ჟამად ზესტაფონში მოვიდა კიევის უნივერსიტეტში კურსდამთავრებული ექიმი ბ-ნი გაფრინდაშვილი. ბ-ნ გაფრინდაშვილის ზესტაფონში დაბინავება სწორედ რომ ღვთის-წყალობაა იქაურ მკვიდრთათვის. ამასთანავე თითონ ბ-ნი გაფრინდაშვილიც ძლიერ ემადლიერება თურმე ზესტაფონელებს და მახლობელ სოფლების მცხოვრებთ.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ვიდრე ტფილისის ორი რუსული გაზეთი ერთმანეთს ეომებიან; ვიდრე „ახალი მიმოხილვა“ დაგვიმტკიცებს იმ ძველს ამბავს, რომ ტფილისის ქალაქის ბედ-იღბალი სომეხთა ხელში იყო მაშინაც-კი, როცა ტფილისი საქართველოს სამეფოს დედა-ქალაქად ითვლებოდაო; ვიდრე საბჭოს კომისია გამოარკვევს ხმოსანს ხუდადოვს უქვლო „ანტრიკოტი“ ჰყვარებია, თუ ძვლიანი, მე, მომლოდინე ამა შესანიშნავ ამბავთა დასასრულისა, შევჩერებივარ ქართველთა მდორედ მიმავალს ცხოვრებას, რომელიც, თუმცა იშვიათად, ხან-დახმით მაინც თავისს მღვრივე ტალღებზედ საუცხოო, ხელის-ხელ საგოგმანებელს ამბავს წამოიტივტივებს ხოლმე.

ტფილისს, გატაცებულს მომავალ საქალაქო არჩევანებით, ეს ამბები გამორჩება ხოლმე, ცხვირ-წინ ჩაუვლის შეუმჩნევლად, თუმცა უმეტესი მათგანი საოცარია, საყურადღებოა, შესანიშნავია და ჩვენის ცხოვრების დამახასიათებელი.

მაგალითებრ, ვინ იცის ჩვენში, რომ არსებობს „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი“-კი არ გეგონოთ, არა, მარტო კითხვისა, წერა ამ საზოგადოებას უკუუგდია, ვითარცა გამოუსადეგარი ბარგი. და მართალიც არის. არა, რა საჭიროა წერა, როდესაც ადამიანმა კითხვა იცის? მწერალთა და მხატვართა რიცხვი ისეც მრავალია, მკითხველი, მკითხველიო, ამბობს ეს ,,საზოგადოება‘‘ და ელექტრონის ფარნით (დიოგენისა რიდას მაქნისია!) აღჭურვილი დაეძებს მკითხველს, მაგრამ ამაოდ, ვერ ჰპოვებს მას, „მისთვის ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა‘‘.

აბა მივაკვლიოთ ამ ახალს საზოგადოებას და ვნახოთ სად მიგვიყვანს იმისი კვალი.

თქვენ, რასაკვირველია, არა გაგიგონიათ-რა ამ საზოგადოებისა. იმის დაარსებას არც დაბეჭდილი წესდება მოჰყოლია, არც წევრთა კრების შედგენა, არც არჩევანი თავმჯდომარისა და გამგეობისა, არაფერი ისეთი, რაც სხვა საზოგადოებათა აუცილებელს კუთვნილებას შეადგენს.

ერთს დღეს გამოიღვიძა ტფილისელმა და ჰპუჰ, იმის წინაშე ახალი საზოგადოება გამოჭიმულა. ამ საზოგადოების წესდება მოთავსებულია საარშიყო ბარათის ნახევარს გვერდზედ, წევრთა რიცხვს სამი კაცი შეადგენს, ამათში ერთი თავმჯდომარეა, ორი გამგეობის წევრი, სამი სარევიზიო კომიტეტისა, ერთი მდივანი და ერთიც ხაზინადარი, სულკი სამნი არიან.

რა აქვს აზრად საზოგადოებას?

რაღა რა აქვს, აი მთელი წესდება ამ საზოგადოებისა:

„მოწყალეო ხელმწიფევ

,,რადგან საჭიროთ დავინახეთ ერთი მხრით ჩვენი ხალხის გონებითად განვითარება და მეორე მხრით დახმარება ერთ რომელსამე ქართულ გამოცემისა, რომელიც ჩვენის აზრით უფრო ბევრს გონების საზრდოს იძლევა, ამისათვის ჩვენ შევადგინეთ ,,კითხვის გამავრცელებელი ამხანაგობა‘‘, და ხალხში გასავრცელებლად ავიღეთ ჯერ-ჯერობით ნახატებიანი ჟურნალი ,,კვალი‘‘. ეს იმიტომ რომ ამ გაზეთში იბეჭდება ხოლმე ადვილ გასაგების ენით ყოველნაირი სამეცნიერო წერილები, ჩვენი ქვეყნის ისტორია, წარსული საქართველოს შესანიშნავი გმირების ამბები. ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეების აწერილობა, საქართველოს ერის სხვა-და-სხვა ნაწილების ყოფაცხოვრების გაცნობა, შესანიშნავი ძველი ნანგრევების, ციხე-დარბაზების, კოშკების და ტაძრების აწერილობა. ამასთანავე ამ ჟურნალში იხატება ყოველნაირი მოვლენა, როგორც სამეცნიერო და უცხო ხალხის ცხოვრებიდან, ისე ჩვენი ქვეყნის ისტორიული ნაშთებისა, შესანიშნავი კაცებისა და ცხოვრების მოვლენათა. ამ სახით ეს ჟურნალი ველა ჩვენ ქართულ გამოცემებზე უფრო მეტ გონების საზრდოს იძლევა და წლის ბოლოს, როცა ყველა ნომრები გამოვა დიდ სქელ წიგნათ შეიკვრება, რჩება ოჯახში სასიამოვნო საკითხავ წიგნათ და გონების საუნჯეთ.

,,ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ თანაგრძნობით მიიღებთ ჩვენ დავალებას და რადგან თქვენ საკმაო გონებრივი და ქონებრივი მომზადება გაქვთ, უარს არ გვეტყვით და დაიბარებთ ამ წელს ნახატებიან ჟურნალ ,,კვალს‘‘, რომელიც ერთი ათათ დააკმაყოფილებს სულიერს მოთხოვნილებას თქვენი სახლობისას, ვიდრე ის წვლილი, რომელიც შეადგენს ამ ჟურნალის ფასს წელიწადში არა უმეტეს რვა მანეთისა, ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ თქვენ ძვირფას დახმარებას არ მოგვაკლებთ და გიგზავნით რა ,, ‘‘ ცალს გაზეთისას, იმედი გვაქვს თქვენ კარგ ნაცნობებსაც დაურიგებთ და ან დააბარებინებთ ამ სასარგებლო ჟურნალს, და მიმართავთ პირდაპირ ,,კვალის‘‘ რედაქციას, (Тифлисъ. Редакція „Квали“) რომლისათვისაც დავშთებით მარად თქვენ მიერ დავალებული და თქვენი ღრმა პატივის მცემელნი.‘‘

როგორც ამ წესდებიდგან დარწმუნდით, საზოგადოების აზრს, ჯერ ერთი, ორი მხარე ჰქონია.

ერთი მხარე „ხალხის გონებითად დახმარება“, მეორე—„კვალის“ ქონებითად დახმარება.

როგორც ჰხედავთ, ამ აზრის კვალი „კვალს“ იქით არსად მიდის, ან სად-ღა უნდა წავიდეს, რომ ამ ნახატებიანს ჟურნალში იხატება თურმე „ყოველ ნაირი მოვლენა, როგორც სამეცნიერო და უცხო ხალხის ცხოვრებიდან, ისე ჩვენი ქვეყნის ისტორიული ნაშთებისა, შესანიშნავი კაცებისა და ცხოვრების მოვლენათა“.

ამ გვარად, ახალი საზოგადოება თავისის სამის წევრით საქვეყნოდ სთხოვს ყველას რვა მანეთს „კვალისთვის“, ვინაიდგან:

პირველი: „კვალი გონების საზრდოს იძლევა“. ქირით თუ იჯარით, ამის შესახებ ამ უცნაურს წესდებაში არაფერია ნათქვამი.

მეორე: იძლევა ადვილ-გასაგებს ენას.

მესამე: იძლევა მეცნიერებას.

მეოთხე: შიგ იხატება „მოვლენა... ისტორიულ ნაშთებისა, შესანიშნავ კაცებისა და ცხოვრების მოვლენათა“.

ესეც კმარა. რაკი იხატება „მოვლენა ცხოვრების მოვლენათა“, აქ შევსდგეთ და ვისურვოთ, რომ ამ ყოვლად ადვილ გასაგების ენის სამაგალითო ნიმუშის ახალი მოვლენაც უეჭველად დაიხატოს „კვალში“, რათა საშვილიშვილო სახსოვრადა და გულის ხმასა შინა ჩასაგდებად დარჩეს ეს ახლად „მოვლენილი მოვლენა“.

ეს მოვლენა ისეთი საოცარი მოვლენაა, რომ, რასაკვირველია, „მოვლენათა მოვლენის“ დამხატველს ჟურნალს უეჭველად მოევლინება სურვილი ამ მოვლენის დახატვისა და გამოვა მოვლენათა ნახატი.

დიაღ, მოწყალენო ხელმწიფენო, გამოიღეთ „წელიწადში არა უმეტეს რვა მანეთისა“, „უარს ნუ ეტყვით და დაიბარეთ“, „თქვენ კარგ ნაცნობებსაც დაურიგეთ და დააბარებინეთ“, სთხოვეთ, იმათაც თავისს ნაცნობებს დაურიგონ და დააბარებინონ და იმათაც თავისს შორეულს ნაცნობებს დააბარებინებინონ და იხილავთ ახალს მოვლენას, ხატს „მოვლენათა მოვლენისას“, თქვენის გონებისა და „კვალის“ ქონების განსავითარებლად მოვლენილს.

იმას გარდა, რომ რვა მანეთად შეიძენთ „მოვლენათა მოვლენის“ ხატს, „დაავალებთ“ „თქვენს პატივის-მცემელთ“... აქ უცბად აფრიალდება ჰაერში სამი ქუდი და სამივე ამა საზოგადოების სულისა და ხორცის ჩამდგმელნი წევრნი ერთს დიდს ბუქნას ჩაჰბუქნავენ, მკითხველო, რასაკვირველია, შენის პატივისცემის ნიშნად.

მაგრამ ეს სამის ბუქნა სამი მოვლენა არ გეგონოთ, იგი ერთი მოვლენაა, სამ-სახედ მოვლენილი, ადვილად გასაგების ენით ერთმანეთთან შეთანხმებული და მორიგებული.

ამ წესდებას ამშვენებს სამი გვარი: ზ. ჭიჭინაძე, მ. მესხი და დ. ცუცქირიძე. პირველის შესახებ რა გვეთქმის, „ჩვენს ზაქარიას“ ყველა იცნობს და არცა გვგონია იმას ამ „მოვლენაში“ რაიმე მონაწილეობა ჰქონდეს. დანარჩენნი ორნი-კი ახლად მოვლენილნი ჭირისუფალნი არიან გონების საზრდოს მოკლებულ ქართველთა ერისა, ჯერ არა ცნობილნი, „კვალის“ ჯანღითა და ბურუსით სავსე სურათებში ბუნდოვანად აღბეჭდილნი და ამიტომ მადლობელ საქართველოს მიერ აქამდე დაუდაფნელნი.

რაკი ამათი ვინაობა გამოცხადდა და გამომჟღავნდა, რასაკვირველია, საზოგადოება ჯეროვნად მიუწყავს ამ გულ-შემატკივრობისათვის და შესაფერს პატივს დასდებს იმათს მოღვაწეობას. სიამოვნებით ვბეჭდავთ იმათ გვარს, რომელნიც, საერთო ძალით დაუძლევიათ რა „კვალის“ ძნელად დასაძლევი მეცნიერება, სცდილობენ „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა განსვენებას“, — რათა კაცობრიობა მათ წინაშე პირ-შავად არ დარჩეს და აღარა სთქვას მათ შესახებ მომავალმა წინასწარმეტყველმა: „სოფელსა შინა იყვნენ, და სოფელი მათ მიერ შეიქმნა, და სოფელმა იგინი ვერ იცნაო“.

თვით „კვალი“, რასაკვირველია, აქ არაფერს შუაშია, იგი მხოლოდ თავისის ჟურნალის ნომრებს აწვდის ზურგ-მოფარებით, რათა „კვალმა“ მკითხველებისაკენ კვალი გაიკვლიოს. მთელი დიდება და სახელი ამ ახალის და „ადვილად გასაგების“ საზოგადოების დაარსებისა ამ ერთს ნაცნობს და ორს უცნობს უნდა დაეკუთვნოს.

დიაღ, ბ-ნნო მ. მესხი და დ. ცუცქირიძევ (უკაცრავად, რომ თქვენი სახელი და „იხი“ არა ვუწყი მე უმეცარმა!), თამამად შეგიძლიანთ თქვენს სამოქმედო დროშაზედ წარაწეროთ: „ხილვით ვიხილეთ ჭირი „კვალისა“ ჩვენისა, და სულთქმანი მისნი გვესმნეს, და გარდმოვხედით განრინებად მათდაო“.

მე-კი, მე, გაოცებული თქვენის საქვეყნო გულის-ტკივილით, „მოვიზიდები კვარცხლბეკად ფერხთა თქვენთა“

„თქვენ მიერ დავალებული და თქვენი ღრმა პატივისმცემელი“

ჩიორა.

## სამოქალაქო ქორწინება ჩარჯუიში

უცნაურს ამბავს გვიამბობს გაზ. „Лучъ“-ი. ამ გაზეთის სიტყვით, იმიერ-კასპიის ქალაქ ჩარჯუიში პოლიციას დაუმტკიცებია სამოქალაქო ქორწინების პირობის წერილი. ჩარჯუიმ პარიზსაც-კი გადააჭარბაო, რადგან იქ სამოქალაქო ქორწინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ცოლ-ქმრობის უღლის მხრივ თავისუფალთაგან, ხოლო ჩარჯუიში პოლიციას დაუმტკიცებია სამოქალაქო ქორწინების პირობის წერილი, რომლის ძალითაც ამ ქორწინების პირობით ეკვრის მამა-კაცს გათხოვილი, ქმართან კანონიერად განუშორებელი და არც ქვრივი ქალი. ეს პირობის წერილი დამტკიცებულია ჩარჯუის პოლიციის მიერ, „სახელმწიფო ბეჭედი აქვს დაკრული“ და გერბის ქაღალდზედ არის დაწერილი. მოგვყავს აქვე ეს პირობის წერილი:

პირობა:

1888 წ. 5 ივნისს. ქ. ჩარჯუი. „ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერელთ, პერმის გუბერნიის, ოსითის მაზრისა სოფელ ხელიგათის მცხოვრებელმა იაკობ ნიკიტას ძემ გორბუნოვმა და ნიჟეგოროდის გუბერნიის კნიაგინის მაზრის სოფელ პერგალეის მცხოვრებელ გლეხის ცოლმა მართა მათეს ასულმა ზინოვიევისამ დავდეთ ხელ-შეკრულობა იმის შესახებ, რომ მე, გორბუნოვი უცოლო, დავთანხმდი მართა ზინოვიევთან ცხოვრებას, ამ პირობით:

1) მე, იაკობ გორბუნოვი, თანახმა ვარ ვიცხოვრო მართა ზინოვიევისსთან სამოქალაქო ქორწინებით და არ განვშორდე, თუ განსაკუთრებული მიზეზი არ მომეცა, პატივსადებად მისაჩნევი.

2) მე, გორბუნოვი, მოვალე ვარ უზრუნველ-ვყო იგი, ვითარცა კანონიერი ცოლი; მივსცე ცხოვრებისათვის ყოველივე საჭირო სახსარი, ესე იგი: საჭმელ-სასმელი, ტანთსაცმელი და სხვანი. თუ ვინიცობაა ავად გახდეს, მოვალე ვარ ვიზრუნო იმისათვის ისევე, როგორც კანონიერ ცოლისათვის.

3) მე, გორბუნოვი, გარდა ამ მზრუნველობისა, ვანდობ და ვაბარებ მას, მართა ზინოვიევისას ყოველს ჩემს მიერვე შეძენილ-მოპოვებულს მოძრავსა და უძრავს ქონებას, რომელიც ამ პირობის ძალით ზინოვიევს და ჩემს საერთო განკარგულებაში უნდა იყოს.

4) თუ მე, გორბუნოვი, რაიმე ზინოვიევის მიერ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო თავი დავანებე, მოვალე ვარ შუაზედ გავუყო ყოველი ჩემი ქონება, მოძრავი და უძრავი და აგრეთვე ფულიც და ჩემის ხარჯით გავგზავნო რუსეთის იმ სახელმწიფოს ადგილას, სადაც თითონ მოისურვებს ცხოვრებას.

5) მე, მართა ზინოვიევისა, ვალდებული ვარ უპატრონო და მოვუარო გორბუნოვის ყოველსავე ქონებას, შევინახო წესისამებრ სახლის ყოველივე მოწყობილება და ავეჯეულობა და არ გავფანტო გორბუნოვის ქონება.

6) მე, მართა ზინოვიევისა, ვალდებული ვარ თავი პატიოსნად შევინახო. არ დავითვრე, არ ვიმრუშო, გორბუნოვის მორჩილი ვიყო, შეურაცხება არ მივაყენო და ვიზრუნო მისის მყუდროება-მშვიდობიანობისათვის.

7) თუ ვინიცობაა ამა პირობის მე-5 და 6 მუხლები დავარღვიე და რიგიანად ვერ შევასრულე, მე ზინოვიევისას, უნდა ჩამომერთვას უფლება გორბუნოვის ქონების მასთან ერთად განაწილებისა, და განვშორდე გორბუნოვს ისე, რომ არაფერი არ მოვითხოვო და მასთან არავითარი დავა-საჩივარი არა მქონდეს-რა.

ეს ხელ-შეკრულობა ორივე მხარემ უნდა დავიცვათ წმიდად და დაურღვევლად. ნამდვილი ამ ხელშეკრულობისა უნდა მქონდეს მე, გორბუნოვს, შემოწმებული იმისი ასლი-კი, ხოლო მართა ზინოვიევისას, რაზედაც ჩვენის საკუთარის ხელით ხელს ვაწერთ: იაკობ გორბუნოვი და მართა ზინოვიევისა“.

ამ პირობის წერილს, რასაკვირველია, არავითარი ძალა არა აქვს, მაგრამ საკვირველია, პოლიციის მოხელემ როგორ არ იცოდა რუსეთის კანონები იმდენად, რომ ასეთი პირობის წერილი არ დაემტკიცებინა.

# რუსეთი

როგორც ვუწყით, ამ ჟამად განსაკუთრებული კომისია „გლეხთა-დებულების“ განხილვაშია. სხვათა შორის კომისიას საჭიროდ დაუნახავს გლეხთა ცხოვრების წეს-რიგში შემდეგი ცვლილებანი იქმნას შეტანილი.

1) კანონისმიერვე ჰქონდეს ნება დართული, რომ სოფლის ყრილობაში მონაწილეობას იღებდეს დედაკაციც, ვითარცა დამოუკიდებელი მეურნე თავისის ოჯახისა, 2) განსაზღრული იყოს წლოვანება დამოუკიდებელ ოჯახის უფროსთა და იმათ მოადგილეთა: 3) კომლზედ თითო კაცს მიეცეს ყრილობაში წარმომადგენლად ყოფნის უფლება; 4) დაწესებულ იყოს, რომ ყრილობაში საქმე სწყდებოდეს უბრალო უმეტესობით-კი არა, არამედ შეგნებულ გლეხთა $^2/_3$ უმრავლესობით; 5) აეკრძალოს თვისი ხმა გარდასცეს სხვას, ვინც ერთს წელიწადზედ მეტს ხანს განშორდება სოფელს, 6) ყრილობაში მონაწილეობის მიღების ნება არ მიეცეს იმათ, რომელნიც დასჯილნი არიან ქურდობისა და მფლანგაობისათვის, რომელთაც ყრილობის დროს შეურაცხება მიუყენებიათ თანამდებობით აღჭურვილთათვის (ამ უკანასკნელთ განსაზღვრულის ვადით), აგრეთვე სასმელების დუქნების პატრონთ და იმათ, რომელთაც მოვახშეობა დაჰბრალდებათ.

რაც შეეხება სოფლის მიერვე ამორჩეულს მმართველს, კომისიას განუზრახავს:

1) სავალდებულოდ გარდასახადად გაჰხადოს საარჩევანო სამსახური ყველა იმ გლეხისათვის, რომელნიც ამისათვის საჭირო პირობას შეეფერებიან. ამ სამსახურის ვალდებულების ვადა სამი წელიწადია, ამის შემდეგ-კი კვლავ ამორჩეულს ნება აქვს უარი სთქვას სამსახურისა; 2) ამორჩეული ყრილობისაგან ოც-და-ხუთის წლისაზედ ახალგაზდა არ უნდა იყოს, საკუთარი სახლ-კარი ჰქონდეს, მუდმივ იმ საზოგადოებაში სცხოვრობდეს, რომლისაგან იქმნება არჩეული, და სოფლის მეურნეობას მისდევდეს; 3) ჯამაგირი უნდა ჰქონდეს ნაცვალს-მამასახლისის თანაშემწეს და მთელს საზოგადოების მამასახლისს უფრო მეტი უფლებანი და ძალა მიენიჭოს, ვიდრე ეხლა აქვს.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ოსმალთა ბარბაროსობამ ყველა განათლებული ქვეყნები აალაპარაკა, მაგრამ, ინგლისის გარდა, ჯერ არც ერთ მათგანს არ მიუღია ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა. ეხლა-კი საფრანგეთმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სომხეთა აუტანელ მდგომარეობას და 21 იანვარს, თავისის საუკეთესო წარმომადგენლების პირით ეროვნული უკმაყოფილება გამოუცხადა ოსმალეთს. ამ დღეებში როგორც გაზეთებში ვკითხულობთ, აკადემიკოსს ვანდალს გაუმართავს კონფერენცია, რომელსაც დასწრებიან დიდ-ძალი ხალხი, მინისტრები, დიპლომატები, აკადემიკოსები, ლიტერატორები და აგრეთვე საფრანგეთის გამოჩენილნი მეცნიერნი: ვოგიუე, ლერუაბოლიე, ჟოზეფ-რეინახი, ანრი-ლავედანი და სხ. საკრებულო დარბაზის ერთს კედელზედ სომხეთის ორი რუკა იყო თურმე ჩამოკიდებული; ერთი მათგანი შეღებილი იყო წითელის სისხლის ფერ წამლებით, რომელიც ცხადად ასურათებდა ქრისტიანეთა სისხლს, რომელიც ოსმალთ ბარბაროსობამ იმსხვერპლა. მეორე რუკა წარმოადგენდა ციფრებით შემდგარს სქემას და ცხადად აღნიშნავდა, რამდენი ქრისტიანი გაუჟლეტია ამ „წყვეტა-ჟლეტის საუკუნეში“ ოსმალეთს. აი ეს რუკაც:

1822 წ. ბერძნები—50.000
1850 „ ნესტორიანნი—10.000
1862 „ მარონიტები და სხ.—11.000
1877 „ ბოლგარები—10.000
1894—96 წ.წ. სომეხნი—300.000

სულ დაუხოციათ ქრისტიანები 381.000

კრების თავ-მჯდომარემ, გრაფმა დე-მიუნმა მოკლედ განუმარტა კრებას ოსმალეთში ქრისტიანეთა აუტანელი მდგომარეობა. ამის შემდეგ გამოჩენილმა ისტორიკოსმა ვანდალმა წარმოსთქვა სიტყვა რომლის შინაარსიც აქვე მოგვყავს:

„ორი მილიონი მართლ-მადიდებელი ხალხი, რომელიც მცირე აზიის ექვს ვილაეტშია გაფანტული, მაჰმადიან ქურთთა შორის სცხოვრობს. უხსოვრის დროდგანვე ეს ორი მეზობელი ხალხი მტრულის თვალით უცქერდა ერთმანეთს. ყოველთვის ურთიერთის სამტროდ იყვნენ განზადებულნი. მაშასადამე, ოსმალთ მთავრობის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა მშვიდობიანობა ჩამოეგდო ამ ორს ხალხს შორის, მშვიდობა და სიყვარულის გრძნობა დაენერგა, მაგრამ ოსმალეთი სულ სხვა გზით მოიქცა: თვითონ აღაგზნო მაჰმადიანთა შორის სარწმუნოებრივი ფანატიზმი, ხელში იარაღი მისცა და გზა დაულოცა ქრისტიანეთა დასარბევად და გასაჟლეტად...

„ნუ თუ ამის შემდეგ ევროპას უფლება აქვს გულ-ხელ დაკრეფილი შეაჩერდეს ამ საშინელს სურათს და უცადოს, აცა როდის გაჟლეტენ ქრისტიანებსაო? თვით ბერლინის ტრაქტატის 61 მუხლი აიძულებს ევროპას მოსთხოვოს სულთანს იმ ცვლილებათა შემოღება, რომელიც მან აღუთქვა როგორც თავისს ერს, ისე მეზობელ სახელმწიფოებს.

„სულთანს არასოდეს არ აღუსრულებია თავისი დაპირება. პირ-იქით მისის ბრძანებით ჟლეტავდნენ და არბევდნენ სომხებს.

„თუ იურიდიულად შევხედავთ საქმეს, ცხადად დავინახავთ, რომ ევროპას სრული უფლება აქვს დაიფაროს სომეხთა ერი ოსმალეთში. მაგრამ ამ ბოლოს დროს ევროპამ თითქოს ყური მოუყრუა ოსმალთა ბარბაროსობას. იგი თითქოს ვერა ჰხედავს ყოველ ამას. თუ არა ჟურნალ გაზეთები, საფრანგეთს არაფერიც არ ეცოდინებოდა ამ საგნის შესახებ... ნუ თუ კიდევ გულ ხელ-დაკრეფილი უნდა ვუყუროთ ყოველსავე ამასაო?“

ბოლოს ვანდალმა სთქვა, რომ საფრანგეთი აღმოსავლეთში ყოველთვის იფარავდა ქრისტიანეთა ინტერესებს და ეხლაც ისევე უნდა მოიქცეს სომხეთა საქმეშიო... ორატორი იმ აზრისაა, რომ კონსტანტინეპოლის საქმეში რუსეთსა და საფრანგეთს ერთი და იგივე ინტერესები აკავშირებსო.

ვანდალი აღტაცებულის ტაშის კვრით გააცილეს თურმე კრებიდგან.

## ქალების გამარჯვება ინგლისში

ამ დღეებში დეპეშამ მთელს განათლებულს კაცობრიობას ერთი ფრიად სასიამოვნო და საყურადღებო ამბავი მოჰფინა. ინგლისის პარ-

ლამენტს ამ წლის 24 იანვარს (4 თებერვალს) განუხილავს და შეუწყნარებია დეპუტატის ბეგგის წინადადება იმის შესახებ, რომ დედაკაცებსაც მიენიჭოს არჩევნების უფლებანიო. ამ გვარად, პარლამენტის დადგენილებით ამიერიდგან დედა-კაცებს სრული პოლიტიკური უფლებანი ენიჭებათ ინგლისში; ისინი საპოლიტიკო ასპარეზზედ სრულიად გათანასწორებულნი არიან მამა კაცებთან და, როგორც ეს უკანასკნელნი, ისე ისინიც ამის შემდეგ ამომრჩევლებიც იქნებიან და არჩეულნიც. როგორც ვუწყით დედათა უფლების შესახებ სჯა-ბაასი დიდი ხანია ატეხილი; ამ საგანს „დედათა ემანსიპაციას“ უწოდებენ, რომელსაც აქამდის ვერ ეღირსა პრაქტიკულად განხორციელება. საყურადღებო ის არის, რომ ინგლისზედ უფრო ადრე ეს საგანი ევროპის სხვა განათლებულ სახელმწიფოებში ალიძრა, მაგალითად, საფრანგეთში, მაგრამ როგორც ცხადად ვხედავთ, შორს-მხედველმა ინგლისის ერმა როგორც ყოველსავე სხვა საქმეებში, აქაც წინ გაუსწრო სხვებს. პრაქტიკულმა ამერიკელებმა ამ საგნის გარდაწყვეტა ინგლისელებს დაასწრეს. კარგა ხანია, რაც ამერიკის რამდენსამე შტატში დედა კაცები პოლიტიკურად გათანასწორებულნი არიან მამაკაცებთან; ბევრგან ამ საქმის მდგომარეობა ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. რაღა თქმა უნდა, რომ როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში ამერიკის ზოგიერთის შტატისა და ინგლისის მაგალითს მიჰბაძავენ და საცა ცხოვრება და პრაქტიკული მოსაზრება თხოულობს, დედაკაცებს სრულს პოლიტიკურს უფლებას მიანიჭებენ.

საგულისხმო აქ ის არის, რომ დედაკაცები უფლებათა მოპოვების საქმეს თვითვე უძღვებიან გულმოდგინედ და სრულის მხნეობით უდგანან კვალში და, თითქოს არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზები არ არსებობდეს, მედგრად და შეუპოვრად მიდიან წინ. ამათ ვერაფერი ვერ აშინებს, თითქოს წინ დანახული აქვთო თავიანთი გამარჯვება. და აი, მართლაც იმარჯვებენ, იმიტომ-რომ იმათი საქმე ჭეშმარიტია, სიმართლეზედ არის აშენებული და ჭეშმარიტს საქმეს აბა რა შეაჩერებს, მეტადრე მაშინ, როცა მისს მასულდგულებელს სწამს მისი ჭეშმარიტება.

დედაკაცებმა თავიანთი საქმე იმითი დაიწყეს, რომ სწავლა-განათლებას გულ-მოდგინედ დაეწაფნენ. და სწავლა-განათლება, რაღა თქმა უნდა, უპირველესი იარაღია ბრძოლის ველზედ გამარჯვებისა. თუ კაცს ცოდნა არა აქვს, ისე ხომ ვერც-კი მიხვდება, რა არის მისთვის კარგი და რა ცუდი. უსწავლელსა და უგუნურს ხშირად თავისი მტერი მოყვრად მიაჩნია და მოყვარე—მტრად. ერთის სიტყვით, სწავლა დედა-ბოძია კაცთა წარმატებისა. დედაკაცებმაც ცოდნის წყალობით გაიგეს თავიანთი ავი და კარგი და ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ შემდეგ იმის ზრუნვას შესდგომოდნენ, თუ როგორ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა.

მიჰმართეს დასტამბულს სიტყვას, დაიწყეს ქადაგება, რომ დედათ ისეთივე უფლებანი უნდა მიენიჭოთ მოქალაქობრივი და პოლიტიკური, როგორც მამაკაცებსა აქვთ მინიჭებულიო. ამით დედაკაცებმა თანდათან დიდი თანაგრძნობა მოიპოვეს მრავალ განათლებულ მამაკაცების მხრივაც. ამასთანავე ისინი საზოგადო სამოქმედო სარბიელზედაც ჰმოღვაწეობდნენ, მაგალითად, როგორც მასწავლებლები დაბალ, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში, მღვდლები (ამერიკაში), ექიმები, ვექილები და სხვ. და ყველგან თავიანთის გულმოდგინეობითა და საქმის ბეჯითობით საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს. ამის თანასწორ მამაკაცთა და დედაკაცთა ეკონომიური ურთიერთობაც შეიცვალა. იმ ქვეყნებში, საცა მრეწველობამ და აღებ-მიცემობამ ჰერკულესის ნაბიჯი გადასდგა და უმაღლესს წერტილამდის მიაღწია, უმეტეს ნაწილად მამა-კაცი და დედა-კაცი ერთს და იმავე გარემოებაში ჩავარდნენ; ოჯახმა თავისი მამა-პაპური ხასიათი დაჰკარგა, ჩაილულის წყალი დალია იმ დრომ, როცა მამაკაცი გარეთ საზრდოს ჰპოულობდა და დედაკაცი-კი კერას უჯდა შინ, მამაკაცისაგან გამოელოდდა სარჩოს და ამიტომ მისივე ყურმოჭრილი მონა იყო. დღეს როგორც მამაკაცმა, ისე დედაკაცმაც თავისის მარჯვენითა და თავისის ოფლით უნდა მოიპოვოს საზრდო, რადგან მამაკაცის ნამუშავარი ყველას ვერ გასწვდება და, მაშასადამე, დედაკაცი მამაკაცის უფლების ქვეშ, იმისი ხელთა შემხედვარი, იმისი მონა-კი აღარ არის, არამედ იმასავითვე თავისუფალია. ეს გარემოება ქონებრივ მამაკაცთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა, რომელსაც სწავლა-განათლება უძღოდა წინ, რასაკვირველია, დიდად ხელს შეუწყობდა დედათა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებათა მხრით მამაკაცებთან გათანასწორების საქმეს და უწყობს კიდეც.

ვინ იცის, შეიძლება ჩვენ იმ დროსაც მოვესწროთ, როდესაც ყველა განათლებულს ქვეყანაში დედაკაცები პოლიტიკურს უფლებას მოიპოვებენ ისე, როგორც ამას წინად მოიპოვეს ინგლისში, ე. ი. კანონიერად, სისხლ დაუღვრელად, მხოლოდ თავიანთის მეცადინეობითა და საზოგადოების გონიერ ნაწილის ხელ-შეწყობით. როგორც ყოველს სხვა კეთილს საქმეს, ისე დედაკაცების საქმესაც მრავალი მტერი ჰყავდა, დღესაცა ჰყავს და შემდეგშიაც ეყოლება, მაგრამ მართალს საქმეს, ცდა-მეცადინეობით გამხნევებულს, სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილს და ქონებრივად გაძლიერებულს, ვერავითარი მტრობა ვერაფერს დააკლებს და დღეს იქნება თუ ხვალ საანბანო ჭეშმარიტებად გახდება, რომ

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

ლ. ლევანიძე

## დამაკვირდი

მე სიკვდილის შვილი ვარ და თუ უნდა მოვკვდე, განა აქედამ ის გამოდის, რომ ვიწუხო და ვიკაგლახო? ვთქვათ, მე ბორკილი უნდა შემიყარონ. განა აქედამ ის გამოდის, რომ ვაი და ვიში ვიძახო? ვთქვათ, ჩემის სამშობლო ქვეყნიდამ მაგდებენ. განა აქედამ ის გამოდის, რომ გულ-გაუტეხლად და მხიარულად არ წავიდე იქ, სადაც მგზავნიან? საპყრობილეში რომ დაგამწყვდიოთო! რას ამბობ, ადამიანო? შენ შეგიძლიან ჩემი ხორცი დაამწყვდიო, ხოლო სულსა ჩემსაზე თვით ღმერთებსაც-კი ხელი ვერ მიუწვდებათ.

ეპიქტეტი, საბერძნეთის ძველი ფილოსოფოსი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სახელგანთქმულს და მსწავლულ რომანების დამწერს ქალს ელისაბედს სტუარტ ფილკს ჰკითხეს: რა გწამსო? და მან ასეთი პასუხი სთქვა თურმე.

1) მწამს საუკუნო ცხოვრება და იგი, რომ პირველი მოვალეობაა ქრისტიანისა—ეგ საიქიო ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდეს უფრო ბრწყინვალედ, ვიდრე ცხოვრება სააქაოსი.

2) მწამს ძლიერება დედა-კაცისა და იგი უფლება მისი, რომ ყოველი გზა ცხოვრებისა ხელთ ეპყრას თავისუფლად.

3) მწამს აუცილებელი საჭიროება, რომ დედა-კაცმა შეიცვალოს თავისი ტანთ-საცმელი, და იგი, რომ ეხლანდელი სამოსელი მისი ძლიერ უშლის მისს ზნეობურს და სოციალურს განთავისუფლებას.

4) მწამს საშინელი ვნება მაგარის სასმელებისაგან, აგრეთვე იგიც, რომ ყოველი კეთილი-გონიერი ადამიანი უნდა ჰცდილობდეს ეგ ბოროტი ძირიანად აღმოფხვრას.

5) მწამს, რომ ჩვენი კანონ-მდებლობა ძალიან დაძველებულია და უკან ჩამორჩენილი, რომ ჩვენი კანონები სავსეა საშუალ-საუკუნოების წეს-რიგითა, რომელიც დიდი ხანია გესაუქმებელია.

6) მწამს სამკურნალო მეცნიერება მხოლოდ ჰომეოპატიური-კი, რადგანაც ამ გვარი მკურნალობა რელიგიურ რწმუნებასთან ხელი-ხელ მავალია.

მეორე ინგლისელ მწერალ ქალს მისს მარი კორელის ჰკითხეს თურმე—რა უფრო გეჯავრებაო და უთქვამს:

1) მამა-კაცი, რომელიც თავისს თავს ყოვლად შემძლებელ ღმერთად ჰხადის.

2) დედა-კაცი, რომელსაც არ შეუძლიან მთლად შესწიროს თავისი სიცოცხლე წმინდასა და უბრყვილო სიყვარულსა.

8) დედა-კაცი, რომელიც დოღს, ჯირითს და სხვა ამ გვარს შესაქცევარს მისდევს და ერთობ მაიმუნსავით ჰბაძავს მამა-კაცსა.

4) ამერიკელი მილლიონერები.

5) ვილიამ არჩერი (ინგლისელი მწერალია დრამებისა) და იბსენი, რომელსაც იგი, როგორც სალოცავს კერპს, თაყვანსა სცემს.

6) დედა-კაცი, რომელსაც სახელის გათქმა უნდა იმითი, რომ ნება მიუცია მეფოტოგრაფიესათვის მისი სურათი გამოჰფინოს საქვეყნოდ ყოველს დუქანში, საცა ყველა გამვლელს-გამომვლელს შეუძლიან იყიდოს.

## გასართობი

დავით ერისთავის, ადრინდელი დუშეთის მაზრის უფროსის ეზოში ერთი მთვრალი რუსი შევიდა.

— ვინა ხარ, რა გინდა აქ? ჰკითხა ერისთავმა უცხო სტუმარს პუშკინის ენაზედ.

— „მე ვისი კართულო“, უპასუხა რუსმა რუსთველის ენაზედ.

— მაინც რა გინდა აქ, რისთვის მოსულხარ ჩემს ოჯახში, არ მეტყვი? ხელ-ახლა ჰკითხა სახლის პატრონმა რუსულად.

—„მე ვისი კართულო“, ხელ-მეორედ განუმეორა რუსმა, რომელიც ძლივს იდგა ფეხზედ.

— ბიჭოს!.. მაშ არ მეტყვი?

—„მე ვისი კართულო“, მოუჭრა კიდევ რუსმა.

აქ კი მოთმინებიდგან გამოსული სახლის პატრონი მივარდა დაუპატიჟებელს სტუმარს და ერთი თუ ორი...

— მაშ თუ ეგრეა, „მე ვისი რუსულო“, „მე ვისი რუსულო“, ატანდა ის უოკელს მუშტს.

**

ერთს რომელღაც რუსულს პიესაში მოქმედი შემოდის სცენაზე და ერთბაშად, გამარჯვებაც არ უთქვამს, სამასს თუმანს სთხოვს სესხად თავის მეგობარს.

ანტრაქტის დროს ორი აქაური ვაჭარი შეეკითხნენ ერთმანერთს:

— დათიკო, როგორ მოგწონს პიესა?

— ერთობ უხეირო რამ არის.

— რადა?

— კა, გაგონილა ასე ერთბაშად სამასის თუმნის თხოვნა?

ლელო

## დეპეშა

1 თებერვალი

**ბერლინი.** ერცჰერცოგი ოტტონი შტუტგარტს წავიდა.

**ვენა.** „Neue Freie Presse“-ი ამბობს, რომ არც ერთს დიდს სახელმწიფოს და იმათ შორის არც ინგლისს არ წაუქეზებია საბერძნეთი საბრძოლველადო. ინგლისის კაბინეტმაც უბრძანა გამოეცხადებინათ ათინაში, რომ საბერძნეთს, განუზრახავს რა კრიტის შემოერთება, არც ერთის სახელმწიფოს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდესო. სხვა გაზეთებთან ერთად „Neue Freie Presse“-ც იმედოვნებს, რომ ათინაში შესძლებენ დროზედ შეაჩერონ ის მოძრაობა, რომელიც გამოიწვია საბერძნეთის ერის თავმოყვარეობამ და რომელსაც ვერც მთავრობამ და ვერც მეფემ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედესო.

**ვენა.** საბერძნეთის ფლოტის კრიტის წყლებში გაგზავნის გამო „Fremdenblatt“-ი ამბობს: „საბერძნეთის მეგობრები ვალდებულნი იყვნენ ერჩიათ მისთვის, რომ ბოლოს დროს მაინც შეეკავებინა თავი და სატევ მოქმედებისაგან ხელი აეღო. საბერძნეთს სახელმწიფონი არ დაეხმარებიან; კრიტში ოსმალეთის ჯარების გადმოსვლას ისინი ვერ გაუბედავენ წინააღმდეგობას და ვერც იმას დაუშლიან ოსმალეთს, რომ საბერძნეთის მტრულს მოქმედებას მტრულის მოქმედებითვე გასცეს პასუხი. დიდნი სახელმწიფონი არ მოინდომებენ გააუქმონ ოსმალეთში ცვლილებათა შემოღების საქმე საბერძნეთის სურვილის დაუფიქრებელის დახმარებითაო.

„Neue Freie Presse“ ამბობს: „ამ ჟამად უეჭველია საბერძნეთმა უკვე უწყის, რომ ევროპის მხრივ არავითარი შემწეობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. აი ამიტომ შიში ომიანობისა უსაფუძვლოა“.

„Tageblatt“-ი სწერს: „საბერძნეთის ჯარებზე ამხედრებას ყველა დიდი სახელმწიფონი ჰკიცხავენ და ავანტიურად სთვლიანო. კანონიერად ვერავინ დაუშლის ოსმალეთს ბრძოლაში გავიდეს, მით უფრო, რომ იგი ამ ბრძოლას იძულებულია. დიდნი სახელმწიფონი საკმაოდ ძლიერნი არიან, იმათაც უნდა განაცხადონ თავისი სურვილი და იძულებულ ჰყონ საბერძნეთი ჯეროვან საზღვარს არ გადავიდესო“.

**ლონდონი.** საბერძნეთის საქმეთა რწმუნებულმა მეტექსასმა გადასცა მარკიზ სალისბიურის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბერძნეთის მთავრობა ყოველისავე მის ხელთ მყოფ საშუალებით ეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალეთის ჯარების კრიტის ნაპირებზედ გადასვლასაო.

**ლონდონი.** „Times“ აუწყებენ კანეიდგან: კრიტის გენერალ-გუბერნატორმა აცნობა ოსმალეთს და ელჩებს, რომ სამსახურს მინდა თავი დავანებოო. ოსმალეთს ჰსურს იგი თავისსავე ადგილას დასტოვოს. მალევიცისა, ტემენოს, პირგიოტისის და მეკოფანის მკვიდრნი მაჰმადიანნი შეცვივდნენ კანეიაში, თავს დაეცნენ ქრისტიანებს, მრავალი დასჭრეს, დუქნები და სახლები აიკლეს. ამ ძარცვის დროს ჯარის-კაცნიც იღებდნენ მონაწილეობას. სიტიის პრეფექტი იცნობება, რომ მეზობელს ოლქში 300 მაჰმადიანი დაჰხოცეს და საშიშია, ქალაქის მაჰმადიანმა მცხოვრებლებმა შურის საძიებლად ადგილობრივი ქრისტიანენი არ გაჟლიტონო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ ოსმალეთის საზღვარ-გარეთ გამწესებულ ელჩებს საყოველთაო ბრძანება გაუგზავნა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ კრიტის აწინდელი საქმეთა ვითარება სტამბოლში მყოფ დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ არის გამოწვეულიო.

**კანეია.** ნაპირებს ახლო არსადა სჩანს საბერძნეთის ნაღმიანი გემები. ეს არის ეხლა მოსულმა მოგზაურმა დაბეჯითებით სთქვა, რომ ეს გემები მილოსის წყლებზედა დგანანო. მართალი არ გამოდგა ის ამბავი, რომ კნენა ბეროვიჩმა საფრანგეთის საელჩოში შეაფარა თავიო; ტყუილია ისიც, ვითომ ბეროვიჩს საბერძნეთის საელჩოში ექებნოს თავ-შესაფარებელი ბინაო.

პეტერბურგის ბირჟა, 31 იანვარი.

| | მყიდველის. | გამყიდველის. | გაყიდულის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | 7.60 | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | — „ | 211 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | — „ | $101^5/_8$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | — „ | $98^3/_4$ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | $280^3/_4$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | $259^1/_2$ |

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.